საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ერთობლივი

ბრძანება №1-1/356/01-162
2020 წლის 4 სექტემბერი

ქ. თბილისი

,,უცხოელი ვიზიტორების მიერ საქართველოდან ფარგლებს გარეთ დისტანციურად ბიზნეს/შრომითი საქმიანობის განხორციელების მიზნით ელექტრონულ პროგრამაში განაცხადის შევსებისა და თანხმობის მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2020 წლის 24 აგვისტოს №1-1/334-№01-155 ერთობლივ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე ,,უცხოელი ვიზიტორების მიერ საქართველოდან ფარგლებს გარეთ დისტანციურად ბიზნეს/შრომითი საქმიანობის განხორციელების მიზნით ელექტრონულ პროგრამაში განაცხადის შევსებისა და თანხმობის მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2020 წლის 24 აგვისტოს №1-1/334-№01-155 ერთობლივი ბრძანებით (www.matsne.gov.ge; 25/08/2020; სარეგისტრაციო კოდი: 270220000.22.024.016661) დამტკიცებულ „უცხოელი ვიზიტორების მიერ საქართველოდან ფარგლებს გარეთ დისტანციურად ბიზნეს/შრომითი საქმიანობის განხორციელების მიზნით ელექტრონულ პროგრამაში განაცხადის შევსებისა და თანხმობის მიღების წესში“ შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,3. პროგრამაში მონაწილეობის უფლება აქვთ იმ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომელთა ჩამონათვალსაც განსაზღვრავს საქართველოს მთავრობის 2015 წლის 5 ივნისის №255 დადგენილება.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი	**ნათელა თურნავა**
საგარეო საქმეთა მინისტრი	**დავით ზალკალიანი**